<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-4 მუხლის:

ა) 7^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7^2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს ელექტრონული ვიზის გაცემისათვის, თუ შესაბამისი სავიზო განაცხადის წარდგენა ხდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ვებგვერდის – e-VISA PORTAL-ის – მეშვეობით – არანაკლებ 20 აშშ დოლარი და არაუმეტეს 500 აშშ დოლარი.“.

ბ) 7^3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^4 პუნქტი:

„7^4. ამ მუხლის 7^2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობა, აგრეთვე დაჩქარებული მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.“.

მუხლი 2.

საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს ვიზის გაცემის საკითხის განხილვისთვის თანხის ოდენობისა და დაჩქარებული მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობის განისაზღვრამდე მოქმედებს ამ კანონის ამოქმედებამდე კანონით განსაზღვრული თანხის ოდენობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**